COSERE - კოლეგიალურობის მხარდაჭერა განათლებაში მდგaრადობისა და ზრდისთვის

უწყვეტი პროფესიული განვითარების
კურსის სქემა

უწყვეტი პროფესიული განვითარების (CPD) კურსისა და სასწავლო მასალის მიზანია სკოლაში, როგორც სასწავლო ორგანიზაციაში, უწყვეტი პროფესიული განვითარებისა და კოლეგიალური კულტურის ხელშეწყობა. იგი შექმნილია სესიის ფასილიტატორებისა და ტრენინგის მონაწილეებისთვის, რათა ხელი შეუწყოს საერთო ხედვის ჩამოყალიბებასა და აქტიურ ჩართულობას, შემოთავაზებული თემების სწავლასა და აქტივობების განხორციელებაში.

უწყვეტი პროფესიული განვითარების (CPD) კურსი შემდეგი კომპონენტებისგან:

1. სასწავლო მასალა - ხელმისაწვდომია თვითრეგულირებადი სასწავლო მოდულის სახით ელექტრონულ პლატფორმაზე (https://elearning.cosereproject.eu) ექვს ენაზე (ინგლისური, ლატვიური, იტალიური, ბერძნული, ჩეხური და ქართული);
2. საკითხავი მასალა - ტრენერებისა და მონაწილეებისთვის.

კურსის მასალა შეიცავს თეორიულ ინფორმაციასა და პრაქტიკულ აქტივობებს, რომლებიც შეესაბამება სამ თემატურ ტრენინგს.

მოდულები:

- მოდული A – ზრდაზე ორიენტირებული და მდგრადი ორგანიზაციის განვითარება
- მოდული B – კოლეგიალური მხარდაჭერის სხვადასხვა ფორმა
- მოდული C – ქოუჩინგი, სუპერვიზია და მენტორობა, როგორც პროფესიული მხარდაჭერის ძირითადი ფორმები

მიზნების, შინაარსის, სესიის ხანგრძლივობისა და მოსალოდნელი შედეგების აღწერა:

მოდულის სახელწოდება	**ზრდაზე ორიენტირებული და მდგრადი ორგანიზაციის განვითარება**
მოდულის მიზანი	ამ მოდულის მიზანია, უწყვეტი პროფესიული განვითარების (CPD) მონაწილეებს ხელი შეუწყოს სკოლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი კოცეფციების გააზრებაში: სწავლაზე ორიენტირებული ორგანიზაცია, კოლეგების მხარდაჭერა, თანამშრომლობისა და კოლეგიალურობის კულტურა და სხვა. მოდული ეხმარება მონაწილეებს, სკოლის ხელმძღვანელებს, სკოლაში კოლეგიალობის კულტურის განვითარებასა და ამ პროცესში საკუთარი მნიშვნელოვანი როლის გააზრებაში.
მოდულის სასწავლო შედეგები	მონაწილეები შეძლებენ: • ორგანიზაციასა და მის კულტურასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი კონცეფციების გააზრებას; • სკოლებში თანამშრომლობის კლიმატის გაუმჯობესებისა და სკოლის პერსონალის მოტივაციის ინსტრუმენტების გამოყენებას; • სკოლის ლიდერის როლის გააზრებას, სწავლაზე ორიენტირებული ორგანიზაციული კულტურის გაუმჯობესების პროცესში.
მოდულ A-ს გასასვლელად შემოთავაზებული დრო	270 წუთი
პირველი თავის სათაური	**სასწავლო ორგანიზაცია და კოლეგიალობის კულტურა**
პირველი თავის სასწავლო შედეგები	მონაწილეები შეძლებენ: • სკოლის კულტურისა და კოლეგიალურობის კონცეფციის გააზრებასა და მისი მხარდაჭერის ინსტრუმენტების გამოყენებას.
პირველი თავის გასასვლელად შემოთავაზებული დრო	90 წუთი
პირველი თავის შინაარსი	1.1. რა არის სასწავლო ორგანიზაცია? 1.2. გონებრივი მოდელები. 1.3. კოლეგიალურობის კულტურა სკოლებში.
მეორე თავის სათაური	**დირექტორის როლი კოლეგიალურობის მხარდაჭერაში**
მეორე თავის სასწავლო შედეგები	მონაწილეები შეძლებენ: • სკოლის ხელმძღვანელის, როგორც კულტურის შემქმნელისა და აღმზრდელის როლის გაცნობიერებას; • კოლეგიალური მხარდაჭერის წასახალისებელი ინსტრუმენტების გამოყენებას; • თანამშრომელთა მოტივაციის თეორიების გააზრებას; • მასწავლებელთა თანამშრომლობისა და კოლეგიალური სწავლების სტიმულირებისთვის საჭირო ინსტრუმენტების გამოყენებას.

მეორე თავის გასასვლელად შემოთავაზებული დრო	180 წუთი
მეორე თავის შინაარსი	2.1. სკოლის დირექტორის როლი 2.2. თანამშრომლების მართვა და მოტივაცია 2.3. მოტივაციის თეორიების გაცნობა: 2.3.1. აბრაჰამ მასლოუ – მოთხოვნილებების ფსიქოლოგიური თეორია 2.3.2. დუგლას მაკგრეგორი – თეორია X და Y 2.3.3. ჯორჯ ელტონ მაიო – ადამიანური ურთიერთობების თეორია 2.3.4. ფრეიდერიკ ჰერცბერგი – ორფაქტორული მოტივაციის თეორია 2.3.5. კლეიტონ პოლ ოლდერფერი – ERG თეორია 2.3.6. ვიქტორ ჰაროლდ ვრუმი – მოლოდინის თეორია 2.3.7. ედვარდ დესი და რიჩარდ რაიანი – თვითგამორკვევის თეორია 2.3.8. დევიდ მაკკლელანდი – სამი საჭიროების თეორია 2.3.9. ჯორჯ ჰომანსი – სოციალური გაცვლის თეორია 2.4. ვინ არის თქვენს გუნდში?
მოდულის შეფასება	ქვიზი
წყაროები და რეკომენდებული ლიტერატურა	ლიტერატურის სია

მოდულის B-ს სათაური	**კოლეგიალური მხარდაჭერის სხვადასხვა ფორმაFORMS**
მოდულის მიზანი	მოდულის მიზანია კოლეგიალური მხარდაჭერის სხვადასხვა ფორმის (კოლეგის დაკვირვება, თანამშრომლობითი პრაქტიკა, მხარდაჭერის ძირითადი უნარები და სხვ.) ეფექტური სისტემის დანერგვისთვის საჭირო ცოდნისა და უნარების შეძენა საგანმანათლებლო გარემოში. მოდული ხელს შეუწყობს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას თანამშრომლობის გზით, რაც საბოლოოდ გაზრდის საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიანობას. გარდა ამისა, მოდული მონაწილეებს შესაძლებლობას მისცემს, შეიძინონ ცოდნა და განივითარონ უნარები, რომლებიც დაეხმარებათ სკოლის თანამშრომლების ემოციების მართვის პროცესის მხარდაჭერაში.
მოდულის სასწავლო შედეგები:	მონაწილეები შეძლებენ: • ურთიერთდაკვირვების მეთოდებისა და ფორმების გაცნობას, მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას; • კოლაბორაციული გაკვეთილის დაგეგმვის ძირითადი პრინციპების გააზრებასა და დანერგვას პრაქტიკაში; • კოლეგებთან პოზიტიური ურთიერთობების დამყარებას, აქტიური მოსმენისა და კონფლიქტების მართვის უნარების დაუფლებას; • კოლეგების დახმარებას სტრესულ სიტუაციებთან გამკლავებასა და პროფესიული გადაწვის რისკის შემცირებაში.
მოდული B-ის გავლისთვის შეთავაზებული დრო	980 წუთი
პირველი თავის სათაური	სკოლაზე ორიენტირებული პროფესიული განვითარების ხელშეწყობა
პირველი თავის სასწავლო შედეგები	მონაწილეები შეძლებენ: • გაიაზრონ, რომ კოლეგების დაკვირვება სასწავლო პროცესში არის მასწავლებელთა შორის პროფესიული თანამშრომლობის ყველაზე ეფექტიანი საშუალება, რომელიც ხელს უწყობს პროფესიულ ზრდასა და სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებას; • გაეცნონ საკლასო დაკვირვების მიზნებსა და მისი მართვის ძირითად პრინციპებს; • გააანალიზონ კოლაბორაციული დაგეგმვის გავლენა მოსწავლეთა ჩართულობასა და მიღწევებზე; • გამოიყენონ დაგეგმვის სტრატეგიები კოლაბორაციული გაკვეთილის დაგეგმვის მხარდასაჭერად; • დაეუფლონ კოლაბორაციული დაგეგმვის პროცესთან დაკავშირებულ გამოწვევებთან გამკლავების სტრატეგიებს.
პირველი თავის გასავლელად შემოთავაზებული დრო	590 წუთი

პირველი თავის შენაარსი	1.1. კოლეგიალურობა და მისი მნიშვნელობა. 1.2. როგორ მუშაობს ურთიერთდაკვირვება? 1.3. დაკვირვების მეთოდები და ფორმები. 1.4. კრიტიკული მეგობარი და კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი 1.5. რეფლექსია და უკუკავშირი. 1.6. კოლაბორაციული პრაქტიკები – ერთობლივი გაკვეთილის დაგეგმვა. 1.7. კოლაბორაციული პრაქტიკები – ინტერდისციპლინური თანამშრომლობა. 1.8. კოლეგიალური მხარდაჭერა საზღვრებს გარეთ
მეორე თავის სათაური	წარმატებული სკოლის ლიდერისთვის ძირითადი უნარები
მეორე თავის სასწავლო შედეგები	მონაწილეები შეძლებენ: • კოლეგებთან, მოსწავლეებსა და მშობლებთან/მეურვეებთან პოზიტიური ურთიერთობების დამყარებას აქტიური მოსმენის, არავერბალური მინიშნებების, თანაგრძნობისა და ენის კომუნიკაციაზე გავლენის გამოყენებით. • სიტუაციებს მიუდგნენ სხვადასხვა პერსპექტივიდან, რაც უფრო მეტად ინკლუზიური და მხარდამჭერი სასწავლო გარემოს შექმნას შეუწყობს ხელს. • კონფლიქტების მოგვარების სტრატეგიების გამოყენებას, მათ შორის, ასერტულ კომუნიკაციას და სხვებთან თანამშრომლობას ურთიერთსასარგებლო გადაწყვეტილებების მიღების გზით.
მეორე თავის გასავლელად შემოთავაზებული დრო	300 წუთი
მეორე თავის შინაარსი	2.1. ემპათია 2.2. აქტიური მოსმენა 2.3. ასერტიული კომუნიკაცია 2.4. პრობლემის გადაჭრა 2.5. კონფლიქტის მართვა
მესამე თავის სათაური	პერსონალის კეთილდღეობის მხარდაჭერა
მესამე თავის სასწავლო შედეგები	მონაწილეები შეძლებენ: • გააცნობიერონ მაღალი ემოციური ინტელექტის დადებითი გავლენა სამუშაოს ხარისხზე; • გაარჩიონ და მართონ საკუთარი და კოლეგების ემოციები; • დაეხმარონ კოლეგებს სტრესის მართვაში.
მესამე თავისთვის განკუთვნილი დრო	90 წუთი
მესამე თავის შინაარსი	3.1. ემოციური ინტელექტი: პერსონალის ემოციების მხარდაჭერა 3.2. პერსონალის სტრესის მართვა 3.3. პროფესიული გადაწვის დაძლევა

მოდული C-ის სახელწოდება	ქოუჩინგი, სუპერვიზია და მენტორინგი, როგორც პროფესიული მხარდაჭერის ძირითადი ფორმები
მოდულის მიზანი	მოდულის მიზანია მონაწილეებს გადასცეს ცოდნა და უნარები, რომლებიც საჭიროა საგანმანათლებლო სივრცეში ქოუჩინგის, სუპერვიზიისა და მენტორინგის პრაქტიკების ეფექტურად დანერგვისა და განხორციელებისთვის.
მოდულის სასწავლო შედეგები	მონაწილეები შეძლებენ: • ქოუჩინგის, სუპერვიზიისა და მენტორობის განმარტებებისა და ძირითადი მახასიათებლების ჩამოყალიბებას და მათი მნიშვნელობის ახსნას პროფესიულ განვითარებაში. • ქოუჩების, სუპერვაიზერებისა და მენტორების როლებისა და ფუნქციების გარჩევას, იმის გაგებას, თუ როგორ უწყობს ხელს თითოეული მათგანი ინდივიდუალურ და ორგანიზაციულ ზრდას. • ეფექტური ქოუჩინგის, სუპერვიზიისა და მენტორობის აუცილებელი უნარების გამოყენებას, მათ შორის, აქტიურ მოსმენას, კითხვების დასმის ტექნიკას, კონსტრუქციული უკუკავშირის მიწოდებასა და მიზნების დასახვას. • კონკრეტული კონტექსტებისა და სიტუაციების შეფასებას პროფესიული მხარდაჭერის ყველაზე შესაბამისი ფორმის დასადგენად, იმის ამოცნობას, თუ როდის არის საჭირო ქოუჩინგი, სუპერვიზია ან მენტორობა. • მორგებული ქოუჩინგის, სუპერვიზიისა და მენტორობის პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას, რომლებიც პასუხობს პედაგოგების უნიკალურ საჭიროებებს და ხელს უწყობს უწყვეტი გაუმჯობესების კულტურას. • ქოუჩინგის, სუპერვიზიისა და მენტორობის პრაქტიკის ეფექტურობის ანალიზს, უკუკავშირისა და შეფასების ინსტრუმენტების გამოყენებით ინდივიდუალურ შესრულებასა და ორგანიზაციულ ეფექტურობაზე ზემოქმედების გაზომვას. • საგანმანათლებლო გარემოში თანამშრომლობის კულტურის ხელშეწყობას, რომელიც ხელს უწყობს კოლეგების მხარდაჭერას, ერთობლივ სწავლებასა და სასწავლო პრაქტიკის მუდმივ განვითარებას.
მოდული C-ს გასავლელად შემოთავაზებული დრო	
პირველი თავის სათაური	**ოუჩინგი**

პირველი თავის სწავლის შედეგები	მონაწილეები შეძლებენ: • ქოუჩინგის არსის გააზრებას; • ქოუჩინგის ძირითადი მიზნების განსაზღვრას სხვადასხვა კონტექსტში (მაგ., პიროვნული განვითარება, პროფესიული ზრდა). • ქოუჩინგის გავლენის ამოცნობას ინდივიდუალურ და ორგანიზაციულ მუშაობაზე. • ქოუჩინგის სხვადასხვა როლის განსაზღვრასა და აღწერას (მაგ., ფასილიტატორი, მენტორი, მრჩეველი). • ქოუჩინგის სხვადასხვა მოდელის შედარებას (მაგ., GROW, CLEAR, OSKAR). • ქოუჩინგის სხვადასხვა ტექნიკის დემონსტრირებას (მაგ., მიზნების დასახვა, უკუკავშირი, როლური თამაშები). • ინდივიდებისთვის, გუნდებისა და ორგანიზაციებისთვის ქოუჩინგის სარგებლის განსაზღვრას. • კოლეგიალური მხარდაჭერისთვის ყოვლისმომცველი ქოუჩინგის მოდულის შექმნას, რომელიც მორგებულია კონკრეტულ კონტექსტს.
პირველი თავის გავლისთვის შემოთავაზებული დრო	90 წუთი
პირველი თავის შინაარსი	1.1. როლები ქოუჩინგში 1.2. ქოუჩინგის ტექნიკა 1.3. ქოუჩინგის მოდელები
მეორე თავის სათაური	**სუპერვიზია, როგორც განვითარების მხარდაჭერა**
მეორე თავის სწავლის შედეგები	მონაწილეები შეძლებენ: • განსაზღვრონ სუპერვიზიაში ჩართულ პირთა ძირითადი როლები (მაგ., ხელმძღვანელი, ზედამხედველი, კოლეგა შემფასებელი) და მათი პასუხისმგებლობები; • გააანალიზონ, თუ როგორ ურთიერთქმედებენ სხვადასხვა როლები სუპერვიზიის პროცესში და რა გავლენას ახდენს ეს ურთიერთქმედება შედეგებზე, • წარმოაჩინონ სხვადასხვა როლის შესრულების უნარი სუპერვიზიის კონტექსტში, ზედამხედველისა და ორგანიზაციის საჭიროებებთან ადაპტირებით; • განიხილონ სუპერვიზიის მნიშვნელობა სტანდარტების შენარჩუნებაში, შესაბამისობის უზრუნველყოფასა და საგანმანათლებლო გარემოში ზრდის ხელშეწყობის პროცესში; • შეაფასონ კონკრეტული შემთხვევების სცენარები სუპერვიზიის მიზანშეწონილობისა და აუცილებლობის დასადგენად, კონტექსტისა და საჭიროებების გათვალისწინებით; • აღწერონ სუპერვიზიის სხვადასხვა ტიპი და მათი მიზნები საგანმანათლებლო გარემოში. • შეადარონ სხვადასხვა სუპერვიზიის მოდელები და მათი ეფექტურობა კონკრეტული მიზნებისა და გამოწვევებისთვის. • გამოიყენონ შესაბამისი სუპერვიზიის ტიპები სხვადასხვა საგანმანათლებლო სიტუაციაში, პერსონალისა და დაწესებულების საჭიროებებზე მორგებული მიდგომით.
მეორე თავისთვის განკუთვნილი დრო	90 წუთი

მეორე თავის შინაარსი	2.1. სუპერვიზიის როლები 2.2. როდის არის სუპერვიზია აუცილებელი? 2.3. სუპერვიზიის ტიპები
მესამე თავის სათაური	**მენტორინგი**
მესამე თავის სწავლის შედეგები	მონაწილეები შეძლებენ: • მენტორობის სხვადასხვა მოდელის (მაგ., კოლეგების მენტორობა, ჯგუფური მენტორობა, ინდივიდუალური მენტორობა) იდენტიფიცირებასა და აღწერას; • საგანმანათლებლო გარემოში მენტორობის სხვადასხვა მოდელის ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზს; • კონტექსტისა და საჭიროებების გათვალისწინებით, კონკრეტულ საგანმანათლებლო სცენარებში მენტორობის შესაბამისი მოდელების გამოყენებას; • მენტორისა და მენტორობის მიმღების როლებისა და პასუხისმგებლობების განსაზღვრას; • მენტორობის პროცესში მხარეთა ურთიერთობის დინამიკისა და მისი გავლენის განხილვას სწავლასა და განვითარებაზე; • მენტორობის პროცესში მხარეთა ურთიერთობის ხელშემწყობი ეფექტური კომუნიკაციის სტრატეგიების დემონსტრირებას; • ახალი მასწავლებლების წინაშე არსებული გამოწვევების გააზრებასა და იმის გაგებას, თუ როგორ შეუძლია მენტორობას მათი პროფესიული ადაპტაციის პერიოდის მხარდაჭერა; • გამოცდილი მასწავლებლების უნიკალური საჭიროებების აღიარებას პროფესიული განვითარების კონტექსტში.
მესამე თავისთვის განკუთვნილი დრო	90 წუთი
მესამე თავის შინაარსი	3.1. მენტორობა განათლებაში 3.2. მენტორობის მოდელები 3.3. მენტორობაში ჩართული მხარეების როლები 3.4. მენტორული უნარების საფუძვლები 3.5. მენტორის ლიდერობის სტილები 3.6. მენტორობა ახალი მასწავლებლებისთვის

რეკომენდაციები პროფესიული განვითარების კურსის პროგრამისა და ტრენინგის მასალების გამოყენებისთვის

ყველა შემუშავებული მასალა განკუთვნილია როგორც დამოუკიდებელი (თვითსწავლის), ასევე შერეული (ორგანიზებული სწავლების) ტრენინგის ფორმატისთვის.

1. ელექტრონული სწავლების პლატფორმის გამოყენება: https://elearning.cosereproject.eu

ელექტრონული სწავლების პლატფორმა შემუშავებულია იმისათვის, რომ მონაწილეებს შესთავაზოს მოკლე და ეფექტური გზა სამი მოდულის შინაარსის შესასწავლად. პლატფორმა შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც დამოუკიდებელი სწავლებისთვის, მოქნილ დროსა და ტემპში, ასევე სპეციალურად ორგანიზებული ტრენინგების სესიებზე, რათა წახალისდეს მონაწილეთა ჩართულობა კონკრეტულ თემასა თუ ქვეთავში.

მოდულების თემატურ შინაარსზე თანმიმდევრული მუშაობისას, მონაწილისთვის წარმოდგენილია რეფლექსური კითხვა ან დავალება, რომელიც ეხმარება მათ თეორიული ცოდნის გააზრებასა და გამყარებაში. თითოეული მოდული მთავრდება ორი სცენარის ანალიზით, შესაბამის კითხვებზე პასუხითა და მოდულის ტესტით.

ტესტი შექმნილია იმისთვის, რომ მომენტალურად უზრუნველყოს უკუკავშირი პასუხების სისწორეზე. ყველა მოდულის დასრულების შემდეგ მონაწილეებს შეუძლიათ, დაბეჭდონ კურსის დასრულების სერტიფიკატი.

2. სასწავლო მასალა ტრენერებისა და მონაწილეთათვის

დეტალურ თეორიულ ახსნას ტრენინგის სესიების მოსამზადებლად, სიტუაციური ანალიზის მაგალითებსა და დისკუსიისთვის განკუთვნილ კითხვებს პასუხებით. მასალის ბოლოს მოცემულია ლიტერატურა და წყაროები, რომლებზე დაყრდნობითაც შემუშავდა კურსის შინაარსი.

ტრენერებს მოეთხოვებათ, დამოუკიდებლად შეავსონ მასალა და შეარჩიონ თითოეული თემისთვის შესაბამისი განახლებული რესურსები ან მხარი დაუჭირონ მონაწილეებისთვის პერსონალიზებულ სწავლებას.

იმისათვის, რომ შეიქმნას კოლეგიალურობაზე დაფუძნებული კულტურის ჩამოყალიბების ერთიანი ხედვა და საერთო გაგება, რეკომენდებულია, რომ მასალას გაეცნონ როგორც სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, ისე პედაგოგები. კონკრეტული მიზნებიდან გამომდინარე, სასურველია, ტრენერებმა ტრენინგში ჩართონ როგორც სკოლის ხელმძღვანელები, ასევე გაფართოებული პასუხისმგებლობის მქონე მასწავლებლები (მაგალითად, საგნობრივი კოორდინატორები).

მეთოდოლოგიურად მასალა შესაძლებელია გამოყენებულ იქნას როგორც ინდივიდუალური თემების შესასწავლად, ასევე ჯგუფურ სწავლებაში (მაგალითად, კონკრეტული საგნის პედაგოგებისთვის).

მაგალითი: თუ თანამშრომელთა სწავლების ორგანიზება ხორციელდება სკოლის დირექტორის ან სხვა ადმინისტრატორის მიერ, თემების შერჩევა შეიძლება სკოლის საჭიროებებიდან გამომდინარე. მაგალითად, მოდული B, თავი 1-ის შინაარსი ეფექტურად შეიძლება იქნას გამოიყენებული იმ შემთხვევაში, როდესაც სკოლა იღებს ახალ თანამშრომელს, რათა ხელი შეეწყოს მის უკეთ ადაპტაციასა და ინტეგრაციას.

მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო მასალა სტრუქტურირებულია პასუხისმგებლობის დონეების მიხედვით (მაგალითად, მოდული B, თავი 2 – „წარმატებული სკოლის ლიდერის ძირითადი უნარები“), მისი გამოყენება არ შემოიფარგლება მხოლოდ კონკრეტული სამიზნე აუდიტორიით. წარმოდგენილი თეორიული შინაარსი საკმაოდ ზოგადია და შესაძლებელია სხვადასხვა საგანმანათლებლო მიზნის მისაღწევად გამოყენება.

მაგალითი: თუ თანამშრომელთა სწავლების ორგანიზება ხდება მასწავლებლის–საგნობრივი კოორდინატორის–ან სხვა ადმინისტრატორის მიერ, ნებისმიერი ჯგუფის ხელმძღვანელი იღებს ლიდერის როლს გარკვეული პასუხისმგებლობის დონით. როდესაც ხორციელდება მეთოდური მუშაობა კონკრეტული ჯგუფის მასწავლებლებთან, ჯგუფის ხელმძღვანელია პასუხისმგებელი მონაწილეთა მოტივაციის, ჩართულობისა და თანამშრომლობის უზრუნველყოფაზე.

სასწავლო მასალში წარმოდგენილი პრაქტიკული დავალებები და დისკუსიისთვის განკუთვნილი კითხვები შესაძლებელია ადაპტირდეს და მოდიფიცირდეს სწავლის კონკრეტული მიზნებისა და სამიზნე აუდიტორიის მახასიათებლების შესაბამისად.

სასწავლო მასალა უზრუნველყოფს შინაარსის თეორიულად უფრო ღრმა მიმოხილვას, ვიდრე ეს პლატფორმაზეა ხელმისაწვდომი.

COSERE

MUNI ARTS

CARDET

spectrum RESEARCH CENTRE

cesie
the world is only one creature

Latvia University of Life Sciences and Technologies

National Centre for Education Republic of Latvia

LEPL INTERNATIONAL EDUCATION CENTER OF GEORGIA

NATIONAL CENTER FOR TEACHER PROFESSIONAL DEVELOPMENT

CC BY SA

ევროკავშირი საქართველოსთვის

დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ. თუმცა, გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები მხოლოდ ავტორ(ებ)ის შეხედულებებია და არ ასახავს აუცილებლად ევროკავშირის ან ევროპის განათლებისა და კულტურის აღმასრულებელი სააგენტოს (EACEA) შეხედულებებს. არც ევროკავშირი და არც EACEA არ არიან პასუხისმგებელნი მათზე. პროექტის ნომერი: 2022-1-LV01-KA220-SCH-000086643